პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 176 (18718) | სამშაბათი, 2 აგვისტო 1983 წელი | ფასი 3 კაპ.

მეგობრობის დღესასწაული საყოველთაოა

დღეს, როცა საბჭოთა ენერგეტიკის განვითარება ზეგლაპარაკობთ, ასტრონომიული ციფრები უნდა მოვიშველიოთ. ჩვენი დიადი ქვეყნის ელექტროსადგურები ასმილიარდობით კილოვატსაათ ენერგიას აწარმოებენ. ამჟამად სსრ კავშირში ყოველწლიურად 10-12 მილიონ კილოვატსაათამდე სიმძლავრეებს გადასცემენ საექსპლოატაციოდ. ელექტროენერგეტიკის ასეთი გიგანტური ნაბიჯებით ზრდამ საფუძვლიანად შეცვალა და დახვეწა ფაბრიკა-ქარხნების ტექნოლოგიური პროცესები, გაზარდა შრომის ნაყოფიერება და საშუალება მოგვცა შეგვექმნა მრეწველობის ისეთი ახალი დარგები, როგორიც არის ელექტროქიმია, ელექტრომეტალურგია და სხვა.

ელექტროენერგიის განვითარებამ გარკვეული როლი შეასრულა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის საქმეში. დღეს საბჭოთა ენერგეტიკოსები სოციალისტური შეჯიბრებ-

ენერგეტიკული მშენებლობის საიმედოობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

მინისტრის ბრძანებით მთელ რიგ საკავშირო ორგანიზაციებს — „საკავშირო ენერგომშენს“, „მთავარსამხრეთენერგოს“, „მთავარცენტრენერგოცენტრმშენს“, მთავარმომარაგებას, „კავკასელექტრომშენს“, აგრეთვე „საქმთავარენერგომშენს“ დაევალათ უზრუნველყონ დამატებითი მექანიზმების, მანქანების გამოყოფა, სამუშაოების შესრულება, რომლებიც გათვალისწინებულია კაპიტალური მშენებლობის გეგმით და გადიდებული სოციალისტური ვალდებულებით რესპუბლიკის ენერგეტიკის ობიექტების ვადამდე ამოქმედებისათვის. ამ ღონისძიებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია წლეულს 500 კილოვატი სიმძლავრის ენგურის ჰიდროელექტროსადგურ-სტავროპოლის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ენერგოგადამცემი ხაზის საექსპლოატაციოდ გადაცემა. ამ ელექტროგიგანტის მეოხებით, რომელიც კავკასიონის მაღალ მთებში გაჭყავთ, ენგურზე გამომუშავებულ ენერგიას პიკის საათებში საქართველოდან მიაწვდიან სტავროპოლის მხარეს, იქიდან კი დონბასს და შემდეგ ურალამდე მიაღწევს.

გაძლიერდება მუშაობა ხუდონის ელექტროსადგურის, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის თაღოვანი კაშხალის მშენებლობაზე, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის, ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის რეკონსტრუქციისათვის. უკვე დამთავრდა ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის რეკონსტრუქცია, სადაც მწყობრშია ახალი აგრეგატი და ქვაბი.

განხორციელდება 60 ათასი მანეთის სამუშაოები 335-110 კილოვატი ელექტროგადამცემი ხაზის განახლების, აღდგენისა და რეკონსტრუქციისათვის საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ. ხორციელდება აგრეთვე იმ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფს 11 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის, 4 ათასი ტონა პირობითი სათბობის მომჭიერნობას. დიდ კმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოს ენერგეტიკის შემდგომ განვითარებას ყურადღებას უთმობენ, პრაქტიკულ დახმარებას უწევენ არა მარტო სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროში, არამედ ბელორუსიის, ლიტვისა და მოლდავეთის მონათესავე სამართველოებიც.

— ბრძანებამ ახალი შრომითი საქმეებისთვის აღფრთოვანა რესპუბლიკის ყველა ენერგეტიკოსი და ენერგომშენებელი, — ამბობს საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი ი. ე. ჭედია, — ეს ბრძანება ჩვენი დარგის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე განვიხილეთ და 1983 წლისათვის დამატებითი სოციალისტური ვალდებულებანი ვიკისრეთ. შევქმენით იუბილესათვის მზადების შტაბი. საქართველოს ენერგეტიკოსები, ენერგომშენებლები განაგრძობენ ახალი რეზერვების ძიებას, ზრდიან პასუხისმგებლობას გეგმის შესრულებისათვის, მომჭირნეობის ყოველ უბანზე მუშაობის მაღალი ხარისხისათვის.

მაშ ასე, მოქმედებს კიდევ ერთი მეგობრობის, ძმობის, ერთიანობის დიდებული პროგრამა, კიდევ ერთი ოქროს ფურცელი შეემატა ქართველი და რუსი ხალხის დამოყვრობის ისტორიას.

200 — გეორგიევსკის ტრაქტატი

საუკუნოვანი თანაღრეობისა და ერთობის კანონიერი ნაყოფი

გარემოს სიცოცხლის წყაროა

ათეული წლების მანძილზე პირველად მოხდა, რომ ზესტაფონის ქუჩებსა და პარკებს, საკოლმეურნეო ზვრებსა და საერთოდ აქაურ მიდამოს არ მოსდებია ფეროშენადნობთა ქარხნის მოლეციდან ამოფრქვეული მონითალო მტვერი, აღარ გამოჩენილა ყვითელი კვამლის ბოლქვები. ეს დიდად სასიკეთო საქმე იმის შედეგია, რომ ამას წინათ აქ წარმატებით დამთავრდა გაზსაწმენდ ნაგებობათა ახალი კომპლექსის მშენებლობა, რისთვისაც მშენებლებმა და ყველა იმათ, ვინც ამ საშვილიშვილო საქმის მოგვარებაში მონაწილეობდა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, მინისტრთა საბჭოს, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მხურვალე მილოცვა დაიმსახურეს. ეს დიდი ყურადღება და დაფასება საწარმოს კოლექტივისათვის, მშენებლებისათვის ახალ შრომითს წარმატებათა მოპოვების მნიშვნელოვანი სტიმული გახდა.

დიახ, ახლა ზესტაფონს, მის მიდამოს, ყვირილას მთელ ხეობას კამკამა და დასუქერის, ეს და, საერთოდ, გარემოს დაცვის სხვა სახელმწიფოებრივი ღონისძიებები, კერძოდ, ჰაერის, მდინარეების, წყალსატევების, ტყეების მასივების მოვლა-პატრონობის საქმის მკვეთრი გაუმჯობესება იმ კომპლექსური აღმშენებლობითი სამუშაოების განუყოფელი ნაწილია, რომლებიც უკანასკნელ ხანს ჩვენს რესპუბლიკაში ასე ინტენსიურად მიმდინარეობს. ეს მართლაც სასიცოცხლო მნიშვნელობის ღონისძიებები ნათლად და გასაგებად მეტყველებს იმ უდიდეს ორგანიზატორული და სოციალური გარდაქმნებისათვის მიმართულ მუშაობაზე, ხალხის სასიკეთო მზრუნველობაზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა რომ იჩენენ.

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებში გარემოს დაცვის ღონისძიებებისათვის მნიშვნელოვანი კაპიტალური დაბანდებანია გამოყოფილი. ასე მაგალითად, თუ მეცხრე ხუთწლედში ამ მიზნით რესპუბლიკაში 75 მილიონი, ხოლო მეათეში 174 მილიონი მანეთი დაიხარჯა, მეთერთმეტე ხუთწლედში ამ საქმისათვის გამოყოფილი თანხა 213 მილიონ მანეთს შეადგენს.

სულ უფრო ფართოვდება გამწმენდ ნაგებობათა მშენებლობის ქსელი, სამრეწველო და სასოფლო საწარმოებში ინერგება საბრუნავი და განმეორებითი წყალმომარაგების სისტემები, იდგმება გამწმენდი მტვერდამჭერი მოწყობილობანი. ერთი სიტყვით, უკანასკნელ სამ წელინად-ნახევარში გაზგამწმენდი და მტვერდამჭერი დანადგარების მშენებლობისა და რეკონსტრუქციისათვის საქართველოში 250-მდე. საინვესტირო ღონისძიება განხორციელდა. ამ მხრივ ერთგვარი მუშაობა მიმდინარეობს თბილისის, სოხუმის, რუსთავის, ქუთაისის, ტყვარჩელის, მახარაძის, ქობულეთის, ფოთის, გუდაუთის, ახალი ათონის საწარმოებში, რესპუბლიკის საავტომობილო ტრანსპორტის და სხვა უნყებათა სისტემებში.

მიუხედავად ამისა, სამუშაოთა ტემპი მაინც არცთუ დამაკმაყოფილებელია. ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებანი და ხარვეზები გვაქვს გარემოს დაცვისათვის მეთერთმეტე ხუთწლედით გათვალისწინებული დავალებების შესრულების საქმეში. განხორციელებულ ღონისძიებათა კომპლექსს მთლიანად ვერ უზრუნველყო გარემოს დაცვის პროგრამის გადაჭრა, რის გამო მაინც მაღალია სამრეწველო ცენტრების საწარმოებიდან მავნე ნივთიერებათა გამონაფრქვევის საერთო დონე. მარტო ის ფაქტი, რომ ასეთ გამონაფრქვევთა რაოდენობა წელინდში 361 ტონას აღწევს, მოწმობს, თუ რა დიდი სამუშაოები, რა სერიოზული საფიქრალი და როგორი პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება გვმართებს.

არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მტვერდამჭერი და გაზგამწმენდი დანადგარების მონყობის, რეკონსტრუქციისა და ექსპლოატაციის საქმეში რესპუბლიკის ისეთ სამრეწველო საწარმოებში, როგორიც არის თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო, გაჯის, ავჭალის სილიკატური აგურის, რუსთავის ცემენტის, ქიმიური, საშენ მასალათა, ქუთაისის ლითოფონის, საავტომობილო, კასპის ცემენტ-შიფერის ქარხნებში და სხვ.

კვლავ შემაშფოთებელია შავ ზღვაში ჩამავალი მდინარეების, აგრეთვე სანაპირო წყლების სანიტარული მდგომარეობა. ისიც აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ძალზე ნელი ტემპით მიმდინარეობს ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესრულება საკანალიზაციო ნაგებობათა მშენებლობის დაჩქარების შესახებ. ასეთ ნაგებობათა მშენებლობა რესპუბლიკის 18 ქალაქსა და დასახლებულ პუნქტში უნდა მიმდინარეობდეს, მაგრამ ბევრგან ჯერ დაწყებულიც კი არ არის. ამ მხრივ ნაკლოვანებანია სოხუმში, გაგრაში, ახალ ათონში, ლანჩხუთში და სხვ. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ განხორციელებულ ღონისძიებათა მიუხედავად ჯერ კიდევ არაფერი ეშველა ნავთობპროდუქტებით შავი ზღვის სანაპირო წყლების გაჭუჭყიანების აღკვეთის, რაც ბათუმისა და ქობულეთის ნავთობბაზების გამმწენდ ნაგებობათა გაუმართავი მუშაობით არის გამოწვეული.

უთუოდ საგულისხმოა ის გარემოება, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის დარჩენილ დროში და მომდევნო ხუთწლედში მნიშვნელოვნად გაიზრდება საკანალიზაციო ნაგებობათა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა. მაგრამ რესპუბლიკაში ასეთ მშენებლობათა განსახორციელებლად შექმნილი ძირითადი საიჯარო ორგანიზაციის — საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს „სპეცმშენის“ ტრესტის საწარმოო-ტექნიკური ბაზა, სამწუხაროდ, არ შეესაბამება სამუშაოთა ასეთ მზარდ მოცულობას. ამიტომ საჭიროა ამასთანავე ვიფიქროთ, ვიზრუნოთ და მივიღოთ გადამჭრელი ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად, თორემ ფაქტის წინაშე რომ დავდგებით, უკვე გვიან იქნება ფაციფუცი და იერიშობანა, რაც ყოველთვის ვნებდა საერთო საქმეს, ხელს უშლიდა ჩვენი სახალხო მეურნეობის წინსვლას.

ჩვენ კვლავ საგანგაშო მდგომარეობა გვაქვს გაჭუჭყიანებისაგან მდინარეებისა და წყალსატევების დაცვის საქმეში. ვერა და ვერ აღვკვეთეთ ის საშიშროება, რომელიც წყალსატევებისა და მდინარეების ბინადართ მოელით გაჭუჭყიანებული ჩანადენების შედეგად. ამ მხრივ ვერაფერს სასიკეთოს ვერ დაიკვეხნიან რუსთავის ზოგიერთ საწარმოთა ხელმძღვანელები, რომელთა მოუქნელი მუშაობის შედეგად ჭუჭყიანდება მდინარე მტკვარი. არანაკლებ მძიმე მდგომარეობა გვაქვს სოფლის მეურნეობის საწარმოებშიც. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მეცხოველეობის კომპლექსები, მეფრინველეობის ფაბრიკები, რომლებიც რესპუბლიკის მდინარეებსა და წყალსატევებში ყოველწლიურად 45 მილიონ კუბურ მეტრ გაუწმენდელ ნახმარ წყალს უშვებენ.

ჩვენი წყალსატევებისა და მდინარეების გაჭუჭყიანებისაგან დაცვა და მათი რესურსების რაციონალურად გამოყენება პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციების სისტემურცული საქმეა. ამიტომაც საჭიროა უფრო გაბედულად გამოვიყენოთ კანონით გათვალისწინებული სანქციები იმათ მიმართ, ვინც ამ მხრივ დაუდგენრობასა და უყურადღებობას იჩენენ. ვფიქრობთ, სამრეწველო და სასოფლო საწარმოთა გეგმების შესრულების მაჩვენებლებზე სათანადო გავლენას უნდა ახდენდეს მათს ტერიტორიაზე გარემოს დაცვის საქმეში არსებული მდგომარეობა. საჭირო იქნება ყველას მკაცრად მოვთხოოთ სამემსრულებლო დისციპლინის მტკიცედ დაცვა, ზემდგომი ორგანოების დადგენილებათა და მითითებათა განუხრელი შესრულება. ერთი სიტყვით, ყოველ მიცემულ სიტყვას, ნაკისრ ვალდებულებას პრაქტიკული განხორციელება უნდა. ასეთია ამოცანა დღეს.

დიდ და სერიოზულ სამუშაოთა შესრულება გვჭირდება იმისათვის, რომ ფართოდ დავნერგოთ ნახმარი წყლის განმეორებითი გამოყენება, რასაც ჯერჯერობით სათანადო ყურადღება არ ექცევა. ნახმარი წყლების გამოყენების სისტემების ამოქმედება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გაჭუჭყიანებისაგან მდინარეებისა და წყალსატევების დაცვას, თევზის რესურსების გაზრდას, სასურსათო პროგრამით დასახულ ამოცანათა წარმატებით შესრულებას. გარემოს დაცვის პრობლემას ეძღვნება სიმპოზიუმები, კონფერენციები, თათბირ-სემინარები, შეკრებები, ისახება ღონისძიებები და რეკომენდაციები. ამ საქმეს ემსახურება ერთობიურები, რომლებიც მეოთხედ მიმდინარეობს ჩვენში. უთუოდ, კარგი ღონისძიებები დაისახება ბუნების ქომაგთა რესპუბლიკურ შეკრებაზე, რომელიც ამ დღეებში გაიმართება. ცხადია, ყოველივე ეს კარგია, მაგრამ საჭირო იქნება უფრო გავაქტიურეთ პრაქტიკული ბრძოლა გარემოს დაცვისათვის.

ხუთწლედი: წელი მესამე

535 ათასი ტონა ჩაისათვის

არ შევანელოთ ტემპი

საქართველოს ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის მონაცემებით, წლეულს სეზონის დაწყებიდან 1 აგვისტოსათვის მოკრეფილია 340.169 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, შარშან ამ დროისათვის მოკრეფილზე 47.687 ტონით მეტი.

განსაკუთრებით ივლისის ბოლო დღეებში იყოჩაღეს მეჩაიეებმა, მექანიზატორებმა, მათს დასახმარებლად მოსულმა მუშა-მოსამსახურეებმა, მოსწავლე ახალგაზრდებმა და, მიუხედავად ამინდის ჭირვეულობისა, გააძლიერეს კრეფის ტემპი. მაგალითად, 31 ივლისს რესპუბლიკაში მოიკრიფა 6.992,1 ტონა ხარისხოვანი ნედლეული, შარშან ამ დღეს კი დამზადდა 3.368 ტონა.

. მახარაძის რაიონში სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია 57.588 ტონა ხარისხოვანი ნედლეული, ზუგდიდის რაიონში — 46.661 ტონა, გალში — 31.835, ქობულეთში — 29.410, ოჩამჩირეში — 26.530, წალენჯიხაში — 22.275, ლანჩხუთში — 18.399, ჩხოროწყუში — 17.074, გეგეჭკორში — 15.245, ხელვაჩაურში — 14.837, ჩოხატაურში — 10.157, წყალტუბოს ზონაში — 7.856, ცხაკაიაში — 7.755, ხობში — 7.546, ტყიბულის ზონაში — 7.236, წულუკიძეში — 5.973, გუდაუთაში — 5.058, სამტრედიაში — 2.101, გულრიფშში — 1.960, ჭიათურის ზონაში — 1.095, თერჯოლაში— 1.091,8, ქედაში — 861,2 ვანში— 633, სოხუმში — 501, აბაშაში — 491ტონა.

მეჩაიეებო! გახსოვდეთ, აგვისტო ჩაის ფოთლის კრეფის გადამწყვეტი თვეა: არ შევანელოთ კრეფის ტემპი, ვკრიფოთ ჩაის ფოთოლი ყოველგვარ ამინდში, ნედლეულის რაოდენობასთან ერთად ხარისხისათვის ბრძოლა თითოეული მეჩაიისა და მექანიზატორის, მათ დასახმარებლად მოსული ყველა მშრომელის პატრიოტული ვალია.

ვინ მოიკოვებს გარდამავალ დროშას?

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა და საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტს მიერ დაწესებული გარდამავალი წითელი დროშის და ფასიანი ხაჩუქრისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა მახარაძის რაიონის ლაითურის ჩაის საბჭოთა მეურნრობა-ტექნიკუმის ის ბრიგადა, რომელსაც ვანო კეშაკაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადას მაის-ივნისში საგეგმო დავალებით უნდა მოეკრიფა 110 ტონა ჩაის ფოთოლი, მოკრიფა და მრეწველობას გადასაბუნებლად ჩააბარა 129 ტონა. დამზადებული ნედლეულის 78,4 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

მაღალმთიან სოფელში

საშაბუროელ მეცხოველეთა წარმატება

დუშეთის რაიონის მაღალმთიან სოფელ საშაბუროში 1982 წლის მარტში შეიქმნა მერძევეობის მიმართულების სამეურნეოებათაშორისო საწარმო. სოფელს გარს აკრავს მდიდარი საძოვრები, სახნავ-სათესი სავარგულები, ანკარა წყაროები, აქოჩრილი ტყე-მინდვრები. ლაი ბუნების სხვა სიკეთე კი საუკეთესო პირობებს ქმნის მეცხოველეობის განვითარებისათვის, ამიტომაც რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობათა სახსრებით ამენდა მეცხოველეობის ფერმები 600 სული ფურისათვის, სხვა

დამხმარე შენობა-ნაგებობანი. ახალ საწარმოს დღესდღეობით 300 საფურაქე ძროხა და 450 მოზარდი და მოზრდილი პირუტყვი ჰყავს.

საშაბუროელმა მეცხოველეებმა თავდადვნე დიდი ყურადღება მიაქციეს საკვები ბაზის გამმტკიცებიას. შარშან იმდენი წვნიანი და უხეში საკვები დაამზადეს, ერთ პირობით სულზე მან 31 ცენტნერი საკვები ერთეული შეადგინა. პირუტყვის საკვებით უზრუნველყოფამ ხელი შეუწყო გასულ ზამთარში ფურების კარგად გამოზამთრებას, რძისა და ხორცის წარმოების გადიდებას.

მეცხოველეებმა, რომლებიც ჩაებენ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის იუბილეს ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში, იკისრეს 300 სული ფურიდან თითოეულზე 1800 კილოგრამით რძე, ნაცვლად 1500 კილოგრამისა, აწარმოონ 235 ტონა რძე, აქედან სახელმწიფოს მიჰყიდონ 180 ტონა, მიიღონ და გამოზარდონ 371 ხბო.

წლევანდელი 6 თვის შედეგებით, საშუალოდ ერთ ფურზე მოწველილია 1016 კილოგრამი რძე, სულ დაამზადეს 155 ტონა რძე— ორჯერ მეტი, ვიდრე იანვარ-ივნისის დავალება ითვალისწინებდა. ეს კი პიროუტყვის კარგი მოვლა-პატრონობის შედეგია. მეცხოველეები სახელმწიფოსათვის რძის მიყიდვის წლიური საგეგმო დავალების შესრულებას I სექტემბრისათვის კისრულობენ. კარგად ირჯებიან მეცხოველეები ნაკისრი ვალდებულებების პირნათლად შესრულებისათვის, მაგრამ დღემდე პირველობას არ თმობს ახალგაზრდა მწველავ-ოპერატორი მაგული ბოდაველი, რომელიც სანმეშოდ უვლის გაპირონებულ ფურებს.

იყოჩაღეს საკვებმომპოვებლებმაც. მიუხედავად არახელსაყრელი კლიმატური პირობებისა, მათ 1200 ტონის ნაცვლად დღემდე 1400 ტონა სენაჟი ჩაღეს, სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სილოსისა და თივის დამზადება. წლეულს მეცხოველეობისათვის წლინახევრის მარაგის შესაქმნელად იბრძვიან საშაბუროელი საკვებმომპოვებლები.

თ. ნიკოლაიშვილი.
„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სურათზე: მერძევეობის სამეურნეოთაშორისო საწარმოს მოწინავე მწველავ-ოპერატორი მაგული ბოდაველი.

ავტორის ფოტო.

მეგობრობის დღესასწაული საყოველთაოა

ბის ლიდერთა შორის არიან და ძალ-ღონეს არ იშურებენ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განუხრელი განხორციელებისათვის. მათ სამოქმედო პროგრამად გაიხადეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმებზე ი. ვ. ანდროპოვის სიტყვიდან გამომდინარე მითითებანი და დასკვნები.

სახალხო მეურნეობის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის განვითარებაში თავიანთი საგრძნობი წვლილი ქართველ ენერგეტიკოსებსაც შეაქვთ. ისინი მოქმედი ელექტროსადგურების ექსპლოატაციას კვალიფიციურად, საქმის ცოდნითა და მონდომებით ეწევიან. გადაჭარბებით ასრულებენ სასაქონლო პროდუქციის გამოშვებისა და მისი რეალიზაციის გეგმებს. რესპუბლიკის ენერგეტიკოსები ძალასა და ენერგიას არ იშურებენ, რათა ხელი შეუწყონ სოფლის მეურნეობის აღმავლობას, რომელიც ინდუსტრიალურ რელსებზე გადადის. განამტკიცებენ სახელმწიფო და სანარმოო დისციპლინას, იბრძვიან ელექტროენერგიის მომჭირნე ხარჯვისათვის და ამავე დროს ცდილობენ მაქსიმალურად და შეუფერხებლად მიაწოდონ იგი როგორც სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს, ისე მოსახლეობას, მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებენ მშენებარე სამრეწველო სიმძლავრეების ვადამდე ამოქმედებისათვის.

საქართველოს ენერგეტიკოსებს მათ წინაშე მდგომი ამოცანების შესრულებაში დიდ დახმარებას გაუწევს სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მინისტრის პ. ს. ნეპოროჟნის ბრძანება „გეორგიევსკის ტრაქტატის ხელმოწერის 200 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოში ენერგოსისტემისა და ენერგეტიკული მშენებლობის საიმედოობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ“.

მინისტრის ბრძანებით მთელ რიგ საკავშირო ორგანიზაციებს — „საკავშირო ენერგომშენს“, „მთავარსამხრეთენერგოს“, „მთავარცენტრენერგოცენტრმშენს“, მთავარმომარაგებას, „კავკასელექტრომშენს“, აგრეთვე „საქმთავარენერგომშენს“ დაევალათ უზრუნველყონ დამატებითი მექანიზმების, მანქანების გამოყოფა, სამუშაოების შესრულება, რომლებიც გათვალისწინებულია კაპიტალური მშენებლობის გეგმით და გადიდებული სოციალისტური ვალდებულებით რესპუბლიკის ენერგეტიკის ობიექტების ვადამდე ამოქმედებისათვის. ამ ღონისძიებათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია წლეულს 500 კილოვატი სიმძლავრის ენგურის ჰიდროელექტროსადგურ-სტავროპოლის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ენერგოგადამცემი ხაზის საექსპლოატაციოდ გადაცემა. ამ ელექტროგიგანტის მეოხებით, რომელიც კავკასიონის მაღალ მთებში გაჭყავთ, ენგურზე გამომუშავებულ ენერგიას პიკის საათებში საქართველოდან მიაწვდიან სტავროპოლის მხარეს, იქიდან კი დონბასს და შემდეგ ურალამდე მიაღწევს.

გაძლიერდება მუშაობა ხუდონის ელექტროსადგურის, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის თაღოვანი კაშხალის მშენებლობაზე, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის, ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის რეკონსტრუქციისათვის. უკვე დამთავრდა ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის რეკონსტრუქცია, სადაც მწყობრშია ახალი აგრეგატი და ქვაბი.

განხორციელდება 60 ათასი მანეთის სამუშაოები 335-110 კილოვატი ელექტროგადამცემი ხაზის განახლების, აღდგენისა და რეკონსტრუქციისათვის საქართველოს სამხედრო გზის გასწვრივ. ხორციელდება აგრეთვე იმ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსი, რომლებიც უზრუნველყოფს 11 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგიის, 4 ათასი ტონა პირობითი სათბობის მომჭირნეობას. დიდ კმაყოფილებას იწვევს ის ფაქტი, რომ საქართველოს ენერგეტიკის შემდგომ განვითარებას ყურადღებას უთმობენ, პრაქტიკულ დახმარებას უწევენ არა მარტო სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროში, არამედ ბელორუსიის, ლიტვისა და მოლდავეთის მონათესავე სამართველოებიც.

— ბრძანებამ ახალი შრომითი საქმეებისთვის აღფრთოვანა რესპუბლიკის ყველა ენერგეტიკოსი და ენერგომშენებელი, — ამბობს საქართველოს სსრ ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის მთავარი სამმართველოს უფროსი ი. ე. ჭედია, — ეს ბრძანება ჩვენი დარგის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე განვიხილეთ და 1983 წლისათვის დამატებითი სოციალისტური ვალდებულებანი ვიკისრეთ. შევქმენით იუბილესათვის მზადების შტაბი. საქართველოს ენერგეტიკოსები, ენერგომშენებლები განაგრძობენ ახალი რეზერვების ძიებას, ზრდიან პასუხისმგებლობას გეგმის შესრულებისათვის, მომჭირნეობის ყოველ უბანზე მუშაობის მაღალი ხარისხისათვის.

მაშ ასე, მოქმედებს კიდევ ერთი მეგობრობის, ძმობის, ერთიანობის დიდებული პროგრამა, კიდევ ერთი ოქროს ფურცელი შეემატა ქართველი და რუსი ხალხის დამოყვრობის ისტორიას.

დაწინაურდნენ სამთოელები

ჭიაოურა (საკ. კორ.). ვეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის ღირსეული შეხვედრისთვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში წარმატებას აღწევს ჭიაოურის სამთამადნო გაერთიანების კოლექტივი. ნახევარი წლის დავალება აქ ვადამდე შესრულდა.

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთამმართველოს კოლექტივმა. მართალია, ორჯონიკიძელებმა ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო ცუდად დაიწყეს მიმდინარე წელი, მაგრამ ახლა მდგომარეობა სწორდება. მოწესრიგდა შრომის ორგანიზაცია, აღიკვეთა სამუშაოზე დაგვიანებისა და გაცდენების შემთხვევები, გაიზარდა თითოეული სამთოელის პასუხისმგებლობა. მინდობილი საქმისათვის, დაჩქარდა მოსამზადებელი სამუშაოების წარმოების ტემპი, ბურღვა-აფეთქების პროგრესული მეთოდების დანერგვით თითოეული სანგრევის წინსვლის სიჩქარე 0,2 მეტრით გადიდდა.

კვლავ მოწინავეთა რიგებშია სტალინის სახელობის მაღაროთამმართველოს კოლექტივი. მან მეტალურგიულ ქარხნებს 45.000 ტონაზე მეტი მადანი გაუგზავნა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით 52 ათასი მანეთი დაზოგა.

ო. ნიქაბაძე.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პლენუმი

გაიმართა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის აღლენუმი, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

პლენუმმა ამხ. ნ. დ. **ბუბაძე** გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნისა და ბიუროს წევრის მოვალეობისაგან საქართველოს სსრ მინისტრად — საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის რესპუბლიკური საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ დანიშვნასთან დაკავშირებით.

საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად და ბიუროს წევრად პლენუმმა აირჩია ამხ. ბ. ა. **ახლანიკაშვილი**, რომელიც პარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა.

პლენუმმა ამხ **ვ. ა. ხაზარაძე** გაათავისუფლა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნისა და ბიუროს წევრობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო და სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანმა ამხ. ე. ა. **შევარდნაძემ.**

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. **ფ. კ. შარტავა.**

ქუთაისის საქალაქო საგბჭოს სესია

გაიმართა ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

სესიამ ამხ. **გ. ხ. ახზიანიძე** გათავისუფლა ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობისაგან საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს საქალაქო კომიტეტის პირველ მდივნად არჩევასთან დაკავშირებით.

ქუთაისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ვ. ა. **ხაზარაძე**, რომელიც პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივნად მუშაობდა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. **შევარდნაძე** და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ამხ. **ფ. კ. შარტავა.**

(საქინფორმი).

აბიტურიენტი—83

სტუდენტები ღირსეულები გახდებიან

დაახლოებით 16 ათასი ქალიშვილი და ჭაბუკი გახდება წელს რესპუბლიკის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი. იმათ, რომლებიც სექტემბერში შეავსებენ უმაღლესი სასწავლებლების აუდიტორიებს, საკონკურსო გამოცდებზე უნდა დაამტკიცონ, რომ უფლება აქვთ სტუდენტები გახდნენ.

1 აგვისტოს დაიწყო მისაღები გამოცდები. როგორც წინა წლებში, წელსაც დიდი, ხერხიოზული მუშაობაა გაწეული წინასწარ უმაღლესი სასწავლებლების ცხოვრებაში პასუხსაგები კამპანიის მაღალ დონეზე მოწყობისათვის. მისაღები გამოცდებისათვის მზადება უმაღლესი სასწავლებლების რექტორატების, პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში იყო, მათ ძალ-ღონე არ დაეშურეს, რათა გამოცდები მიმდინარეობდეს საკმაოს, კეთილმოსურნე ატმოსფეროში, რათა აბიტურიენტები გრძნობდნენ გამომცდელთა მხრივ მათი ცოდნის ობიექტურად შეფასების სურვილს.

**ყოველმა აბიტურიენტმა, მშობლებმა, ნათესავებმა უნდა იცოდნენ: მხოლოდ ცოდნა შეიძლება იყოს იმის კრიტერიუმი, მიიღებს თ

1 აგვისტო

ულტიმატუმი

ფაქტები მოვლენები საკლასო იუფყეგა

„კომუნისტი“ ეძიებს რეზერვებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის ზემოქმედების გაძლიერების შესახებ“ ნათქვამია, რომ სამინისტროებმა, უწყებებმა, გაერთიანებებმა და წარმოებებმა უნდა შეიმუშაონ და განიხილონ შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის ფართოდ განვითარების ღონისძიებანი. მეთერთმეტე ხუთწლეულში მუშაობის ბრიგადული მეთოდი ძირითადი უნდა გახდეს და მან მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი ეკონომიკის ინტენსიურ განვითარებას, შრომითი რესურსების გამოყენებას, ეფექტიანობის ამაღლებას და პარტიის მიერ დასახული სხვა ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

ხელმძღვანელობენ რა აღნიშნული დადგენილებით, სატყეო მეურნეობის სამინისტრომ და დარგის მუშათა პროფკავშირების რესპუბლიკურმა კომიტეტმა მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის დანერგვისა და გაფართოებისათვის, რომელიც სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

არ შეიძლება ითქვას, რომ შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმა სატყეო მეურნეობის წარმოებებისათვის ბოლამდე ახალია. საწარმოო ბრიგადა, რომელიც წარმოების ხელმძღვანელის მრძანებით იქმნება, შრომითი კოლექტივის პირველადს უჯრედსა და შრომის პროცესების მართვის ძირეულ რგოლს წარმოადგენს, რომელიც მიზნად ისახავს შრომის საყოფიერების ზრდის ტემპის დაჩქარებას, სამუშაო დროის, ნედლეულისა და მატერიალური რესურსების მომჭირნე გამოყენებას, პროდუქციისა და შესასრულებელი სამუშაოს ხარისხის გაუჯობესებას, მუშების პროფესიულ მომზადებას და კვალიფიკაციის ამაღლებას, წარმოების მართვაში მუშათა აქტიურ მონაწილეობას, ხელფასის მატერიალურ როლის გაძლიერებას, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფართო გამოყენებას და სხვა.

ამ ამოცანის გადაწყვეტის მიზნით ჯერ კიდევ 1978 წელს შემუშავდა რეკომენდაცია „სატყეო სამრეწველო მეურნეობებში ხე-ტყის დამზადებაზე სამეურნეო-გარიშიანი ბრიგადების შექმნისა და მუშაობის შესახებ“, სადაც კონკრეტულად განსაზღვრა მოქმედი კომპლექსური ბრიგადების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის გზები. შემოღებულია ბრიგადისათვის წლიური გეგმის მიცემისა და მისი შესრულების აღრიცხვის სპეციალური ჟურნალი, სადაც მოცემულია ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების, ნორმატივების მიხედვით მატერიალური რესურსების ხარჯვის ოდენობის და ბრიგადის მიერ შესრულებული სამუშაოს თვითღირებულების გაანგარიშების ფორმები. შემუშავდა აგრეთვე დებულების ნიმუში ხე-ტყის დამზადების სამუშაოებზე ბრიგადული იჯარის შესახებ, რომელსაც პროფკავშირის კომიტეტთან შეთანხმებით წარმოების ადმინისტრაცია ამტკიცებს.

აღნიშნული რეკომენდაციისა და დებულების შესაბამისად პირველად წალენჯიხის ტყემრეწვმეურნეობაში ხე-ტყის დამზადებაზე ე. ჩხეტიანის და ო. მარდიას მსხვილი კომპლექსური ბრიგადები გადავიდნენ მუშაობის ბრიგადული იჯარის ფორმაზე, დაიდო ხელშეკრულება წარმოების ადმინისტრაციასა და ბრიგადას შორის, ბრიგადას მიეცა წლიური დავალება სათანადო ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებით: ბრიგადამ ივალდებულა მისთვის მიცემული დავალების დროული და ხარისხიანი შესრულება. შრომის ანაზღაურების პირობებში შეტანილ იქნა შესრულებული სამუშაოსათვის შრომის ანაზღაურება სანარდო შეფასებით და საგეგმო დავალების ხარისხიანი და გადაჭარბებით შესრულებისათვის ყოველთვიურად პრემიის გაცემა სანარდო გამომუშავების 40 პროცენტის ოდენობით ხელფასის ფონდის ანგარიშზე, ხოლო მიმაგრებულ ტყეკაფზე სამუშაოს ხარისხიანად დამთავრებისა და მისი სატყეო მეურნეობაზე ჩაბარების შემდეგ ამ სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო საწვავ-საპოხი და მატერიალური რესურსების მომჭირნე ხარჯვის შედეგად მიღებული ეკონომიიდან და ამ ტყეკაფიდან დამატებით მიღებული მერქნის ღირებულების 40-50 პროცენტამდე ბრიგადა იღებს დამატებით პრემიას მატერიალური წახალისების ფონდიდან.

შრომის ბრიგადული იჯარის ეფექტი

ადმინისტრაციის მიერ საიჯარო ბრიგადის ორგანიზაციისა და მისი მუშაობის ნორმალური წარმართვისათვის განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ბრიგადის შრომისა და საყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ტექნიკითა და მატერიალური რესურსებით დროული მომარაგების ნორმატივების ფარგლებში და სხვა ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც აუცილებელია ბრიგადისათვის მიცემული დავალების შესასრულებლად.

შრომის ბრიგადული ორგანიზაციის საიჯარო ფორმის დანერგვას მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვა. აღნიშნული ბრიგადები სტატმატურად გადაჭარბებით ასრულებენ საგეგმო დავალებებს. ჩვეულებრივი წესით მომუშავე ბრიგადებთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზარდეს 15-20 პროცენტით. დაზოგილია საწვავ-საპოხი და მატერიალური რესურსები, შემცირებულია დამზადებული ხე-ტყის თვითღირებულება, გაუმჯობესდა ტყეკაფის დამუშავების ხარისხი და დამზადებული ხე-ტყის სტრუქტურული შემადგენლობა. კომპლექსურ საიჯარო ბრიგადებში მაღალია შრომისა და საწარმოო დისციპლინა, ბრიგადის წევრები დაუფლებული არიან მომიჯნავე პროფესიებს, არ არის დენადობა.

შრომის ბრიგადული ორგანიზაციის საიჯარო ფორმა წარმატებით ინერგება ენგურსპეციმშენის სამმართველოში ხე-ტყის საზიდი საავტომობილო გზების მშენებლობაზე. ამ წესით მომუშავე ვ. დვალის ბრიგადამ 1982 წელს წარმატებით შეასრულა საგეგმო დავალება, მშენებლობის ვადა შეამცირა 5 პროცენტით და სამუშაო „კარგზე“ შეფასებით ჩაბარა. მიაღწია შესრულებული სამუშაოს თვითღირებულების შემცირებას 17.0 ათასი მანეთით, მათ შორის 1,4 ათასი მანეთი მოდის მატერიალური რესურსების ეკონომიის ხარჯზე, ხოლო 1,6 ათასი მანეთი — ხელფასის ფონდის ეკონომიიდან.

ბოლნისის სატყეო მეურნეობის სატყეო-საკულტურო სამუშაოებზე დასაქმებულმა ქ. პეტროსიანის ბრიგადამ შარშან ტყის კულტურების გაბარება სხვა ბრიგადებთან შედარებით გაზარდა 5 პროცენტით, გადარგულ სანერგეში — 4 პროცენტით, ხოლო სტანდარტული ნერგების გამოსავლიანობა დადგენილ ნორმატივთან შედარებით — 2 პროცენტით.

სისტემის საწარმოებში შრომის ბრიგადული ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის ფართოდ დანერგვისა და გავრცელების უზრუნველყოფის მიზნით სამინისტროს კოლეგიისა და დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი დადგენილებით 1982 წელს დამტკიცებულია და წარმოებებს სახელმძღვანელოდ მიეცათ „დებულება საწარმოო ბრიგადის, ბრიგადირის, ბრიგადის საბჭოს და ბრიგადირთა საბჭოს შესახებ“, აგრეთვე „რეკომენდაციები სამინისტროს სისტემის საწარმოებში შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის განვითარებისა და დანერგვის შესახებ“. აღნიშნულ დოკუმენტში წარმოდგენილია ბრიგადების ფორმები, ფუნქციები, უფლებები, ჩამოყალიბების წესი, შრომის ანაზღაურების სისტემა, პრემირება მშრომის საბოლოო შედეგების მიხედვით, რომ ხე-ტყის დამზადებაზე შრომის საბოლოო შედეგად ითვლება ავტომაჭანაზე დატვირთული ხე-ტყის სორტიმენტები; ხე-ტყის გადამუშავებაზე — დახერხილი, მასალა ან სხვადასხვა სახის მზა პროდუქცია; სატყეო-საკულტურო სამუშაოზე ტყის ნერგების გახარების პროცენტი; ტყის სანერგის სამუშაოებზე ერთეულ ჰექტარზე სტანდარტული ნერგების წარმოების ოდენობა და სხვა.

სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის ფართოდ დანერგვა ხორციელდება შრომის მეცნიერული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი დავალების შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია ზემდგომი ორგანოების მიერ.

1981-1985 წლებისათვის აღნიშნული დავალების შესაბამისად 1982 წლისათვის მზარდი ჯამით შრომის ბრიგადული ორგანიზაციის ამ ფორმით უნდა ემუშავა 2610 კაცს, ფაქტობრივად კი მუშაობს 2955 კაცი, რაც დავალების 113,2 პროცენტს შეადგენს.

შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის დანერგვის კვალობაზე კარგ მაჩვენებელს მიაღწიეს კოლხეთის სატყეო მეურნეობაში ხე-ტყის გადამუშავებზე დასაქმებულმა ი. მუქედლიშვილის ბრიგადამ, ქედის სატყეო მეურნეობაში ხე-ტყის დამზადებაზე — თ. აბაშიძის ბრიგადამ, ახალციხის სატყეო მეურნეობაში კ. მანჩხაშვილის ბრიგადამ, თბილისის სატყეო მეურნეობაში გ. ჩანადირის ბრიგადამ და სხვებმა.

სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემის საწარმოებში შრომის ორგანიზაციისა და სტიმულირების ბრიგადული ფორმის ფართოდ დანერგვისათვის დამატებითი ღონისძიებების შემუშავებისა და ამ საქმეში წარმოების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, წლიურ მაისში გაიმართა კოლეგიის გაფართოებული სხდომა ყველა წარმოების ხელმძღვანელის მონაწილეობით. კოლეგიამ კრიტიკულად გააანალიზა ამ დარგში გაწეული მუშაობა, იმსჯელა დადებითსა და უარყოფითს მხარეებზე და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი შრომის ორგანიზაციის ბრიგადული ფორმის შემდგომი სრულყოფისა და განვითარებისათვის. მიღებულ იქნა დამატებითი დავალება საიჯარო წესით მომუშავე ბრიგადების ჩამოყალიბების შესახებ, რომლებიც უნდა შეიქმნას როგორც ხე-ტყის გადამუშავების საამქროების, ისე სატყეო-საკულტურო სამუშაოებზე. ამ საქმის პრაქტიკული განხორციელების მიზნით შემუშავდა ადმინისტრაციისა და ბრიგადას შორის ხელშეკრულების დადების ნიმუშები ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების გაანგარიშების ფორმებით და სათანადო მითითებებით, რომლებიც გაიცნეს მეურნეობებს ამ ღონისძიების დანერგვის დაჩქარების ხელშესაწყობად.

დღევანდელ მოთხოვნათა შესაბამისად უპირველეს ამოცანად გვესახება წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში შრომის ბრიგადული ორგანიზაციის ფორმების ფართო გავრცელება-გამოყენება, მაგრამ ისიც საგულისხმოა, რომ მუშაობის ბრიგადული იჯარის ფორმაზე ყველა ბრიგადის გადაყვანა ერთი ხელის დაკვრით შეუძლებელია. ამ ღონისძიების განხორციელებამ ფორმალური და ერთდროული კამპანიის ხასიათი რომ არ მიიღოს, მას წინ უნდა უძღოდეს მოფიქრებული მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც ითვალისწინებს თვით ბრიგადის ფორმებსა და საქმიანობაში კარგად გარკვევას, ამ საქმისადმი შემოქმედებითად მიდგომას და საწარმოო სპეციფიკის მისადაგებას, ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა შემუშავებას და მათს განხორციელებას. ბრიგადის მუშებს დამაჯერებლად უნდა განემარტოთ ბრიგადული საიჯარო ფორმის გამოყენების უპირატესობა, უნდა განისაზღვროს კომპლექსური ნორმები და ნორმატივები, გაფორმდეს ორმხრივი ხელშეკრულება ადმინისტრაციასა და ბრიგადას შორის, რომლითაც გათვალისწინებული იქნება საიჯარო ბრიგადებისათვის მიცემული დავალების მოცულობა ხარისხობრივი მაჩვენებლებით, მისი შესრულების ვადები და პირობები. ასეთი ბრიგადები იქმნება როგორც ხე-ტყის დამზადება-გადამუშავებაზე, ისე სატყეო-საკულტურო სამუშაოებზეც, იჯარით მომუშავე ბრიგადებს, როგორც წესი, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში მიემაგრებათ ძირითადი საწარმოო ფონდები და სამუშაო ობიექტები. ბრიგადას მიეცემა ეკონომიურად დასაბუთებული სამეურნეო ანგარიშის დავალება, ნედლეულის, მასალებისა და სხვა რესურსების ხარჯვის პროგრესული ნორმატივები. უნდა მოწესრიგდეს საბუღალტრო აღრიცხვის საქმე. ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალების შესრულებისათვის ბრიგადა უნდა მომარაგდეს ყველა საჭირო ნედლეულით და მატერიალური რესურსებით და ბოლოს შრომის საუკეთესო საბოლოო შედეგებისათვის ბრიგადის მიმართ ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული პრემიული ანაზღაურების სისტემა, რომლის ოდენობაც პირდაპირ იქნება დამოკიდებული გეგმების შესრულებასა და პროდუქციის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. ზემოთ აღნიშნული პირობების განხორციელება შექმნის იმის მატერიალურ და მორალურ წანამძღვრებს, რომ მეთერთმეტე ხუთწლეულში შრომის ორგანიზაციის და სტიმულირების ბრიგადული ფორმა სატყეო მეურნეობის სამინისტროს სისტემაში ძირითადი გახდება.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ამ საქმეში დიდ დახმარებას გვიწევს საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტი.

ჯ. ჩარკვიანი,
საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილე,

ვ. ჩიხრაძე,
საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სამინისტროს შრომის მეცნიერული ორგანიზაციის რესპუბლიკური ცენტრის უფროსი.

სოციალისტური დემოკრატია მოქმედებს

ადგილობრივი საბჭოების სესიებზე განიხილონ შრომითს კოლექტივებში და მოსახლეობის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ორგანიზაციის შემდგომი გაუმჯობესებისათვის დეპუტატთა, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების საქმიანობის კოორდინაციის ამოცანები;

რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებთან არსებულ საბჭოთა მშენებლობის ორწლიან სკოლებში და დეპუტატთა სკოლებში მოაწყონ სპეციალური მეცადინეობა თემებზე:

— კომუნისტური საზოგადოების შშენებელი ახალი ადამიანის ფორმირებაში სახალხო დეპუტატთა საბჭოებისა და მათი ორგანოების როლის ამაღლების შესახებ;

— სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმზრდელობითი მუშაობის ეფექტიანობის ამაღლებისა და სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულებაზე მათი გავლენის გაძლიერების ამოცანების შესახებ;

— ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებში მშრომელებისაგან მიღებული განცხადებებისა და საჩივრების განხილვის დონე, დაუწესონ ქმედითი კონტროლი მათს საქმიანობას მოქალაქეთა წერილებსა და განცხადებებზე მუშაობის სრულყოფისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის დადგენილებათა შესრულების ეს და სხვა ღონისძიებანი შეტანილია სპეციალურ გეგმაში, რომელიც მიიღო და მოიწონა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მორიგმა სხდომამ. მკაცრი კონტროლი დაუწესდა თითოეული მისი პუნქტის შესრულების მიმდინარეობას, რომლის მიზანია საბჭოების აღმზრდელობითი საქმიანობის შემდგომი სრულყოფა.

1983 წლის 1 აგვისტოდან ძალაში შედის სსრ კავშირის კანონი „შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ“. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა ამ კანონის პროპაგანდისა და შესრულების ორგანიზაციის ღონისძიებათა საკითხი. მიღებულ დადგენილებაში რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დაეკალთ უზრუნველყონ ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა, კანონის შინაარსი გააცნონ თითოეულ მშრომელს. პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრისა და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებათა საფუძველზე მათ უნდა განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი მისი განუხრელი დაცვისათვის. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კანონის იმ დებულებათა შესრულებას, რომელთა მიზანია სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის სრულყოფა, მშრომელთა პოლიტიკური აქტიურობის ამაღლება, წარმოების მართვაში მათი ჩაბმა.

სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების თავმჯდომარეთა რესპუბლიკური კრებისათვის მზადებასთან დაკავშირებით პრეზიდიუმმა მოისმინა აბაშისა და გარდაბნის საქალაქო საბჭოების, მახარაძის რაიონის ლიათურის სადაბო საბჭოსა და საგარეჯოს რაიონის ხაშმის სასოფლო საბჭოს აღმასკომების თავმჯდომარეთა ინფორმაციები. მათ დაეკალთ გაუთმჯობესონ ორგანიზაციულ-მასობრივი მუშაობა, გააძლიერონ მისი გავლენა საბჭოების საქმიანობის ყველა მხარეზე.

პრეზიდიუმმა განიხილა სახალხო დეპუტატთა რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოების აღმასკომებთან არსებული საბჭოთა მუშაობის კაბინეტებისა და დეპუტატთა ოთახების რესპუბლიკური დათვალიერების შედეგები. განიხილეს აგრეთვე მთელი რიგი სხვა საკითხები, რომელთაგან თითოეულის გამო მიიღეს დადგენილება.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. გ. გილაშვილმა. (საინფორმაციო).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში

მეტი მიზანსწრაფვა და ქმედითობა მივანიჭოთ პროპაგანდას

სოციალისტური წყობილების უპირატესობათა პროპაგანდა ჩვენი რესპუბლიკის მაგალითით საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების საქმიანობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. იყენებს რა მუშაობის სხვადასხვაგვარ ფორმებსა და მეთოდებს, საზოგადოება მასშტაბურად ეწევა ამ პროპაგანდას მსოფლიოს თითქმის 70 ქვეყანაში. მაგალითად, სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის მზადების პერიოდში საზოგადოება აქტიურად მონაწილეობდა საბჭოთა კავშირის დღეების მოწყობაში იაპონიაში, ფინეთში, საფრანგეთში და მადაგასკარზე, სადაც საქართველოს ელჩსტო

შრომითი კოლექტივების ძალითა და ავტორიტეტით

რესპუბლიკის პროფკავშირების მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს საქართველოში მშრომელთა ეკონომიკური განათლების ერთიანი სისტემის შექმნაში. მათ ხელი შეუწყვეს ამ სისტემის მართვის ეფექტიანი პრაქტიკის დანერგვას, კომფლისტური შრომის სკოლების მსმენელთა ეკონომიკური და იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებას. სასწავლო პროცესი ასეთ სკოლებში, რომლებიც მოქმედებს კერძოდ, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხანასა და საშენ მასალათა კომბინატში, ფოთისა და ბათუმის საზღვაო ნავსადგურებში, სხვა საწარმოებსა და ორგანიზაციებში, მჭიდროდ არის დაკავშირებული შრომითი კოლექტივების პრაქტიკულ საქმიანობასთან. ამის შედეგია საწარმოთა სოციალური და ეკონომიკური განვითარების გეგმების რეალიზაციის დაჩქარება. მაგალითად, მარტო გასულ სასწავლო წელს კომუნისტური შრომის სკოლების 35 ათასამდე მსმენელმა შემოიტანა 55 ათასი რაციონალიზატორული წინადადება, რამაც 7 მილიონი მანეთი ეკონომიკური ეფექტი მოგვცა.

ეს და სხვა მაგალითები, რომლებიც მოწმობს მშრომელთა ეკონომიკური განათლების უკეგებას, დაასახელეს საქართველოს პროფკავშირული აქტივის კრებაზე. კრების მონაწილეებმა განიხილეს რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების ამოცანები, რომლებსაც საფუძვლად უდევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, ამ პლენუმზე ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის გამოსვლა.

მომხსენებელმა — საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარემ თ. მოსაშვილმა, გამოსულებმა აღნიშნეს, რომ პროფკავშირები, როგორც ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური სისტემის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი და მუშათა კლასის ყველაზე მასობრივი ორგანიზაცია, ყოველდღიურ მუშაობას ეწევიან უშუალოდ შრომითს კოლექტივებში, იქ, სადაც წყდება კომუნისტური მშენებლობის გეგმების ბედი.

კრების მონაწილეებმა, რომლებმაც ჯეროვნად შეაფასეს მიღწეული წარმატებანი, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ საჭიროა კიდევ ერთხელ გადაისინჯოს რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების მთელი მუშაობის შინაარსი. გამოსულებმა კრიტიკულად გააანალიზეს არსებული ნაკლოვანებანი, გამოავლინეს მათი მიზეზები, დასახეს მათი აღმოფხვრის კონკრეტული ღონისძიებანი. ხაზგასმით აღინიშნა, რომ საოლქო საბჭოებმა, დარგობრივმა რესპუბლიკურმა კომიტეტებმა, ყველა პროფკავშირულმა ორგანიზაციამ, რომლებიც ხელმძღვანელობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმის გადაწყვეტილებებით, თანამიმდევრულად უნდა მიაღწიონ პროფკავშირთა იდეოლოგიური, აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას. ადამიანისათვის, მისი ინტერესებისათვის ზრუნვის გაძლიერებით, მათ ყოველნაირად უნდა შეუწყონ ხელი შრომელთა კომუნისტური მრწამსის ჩამოყალიბებას, მათი შემოქმედებითი აქტიურობის განვითარებას საწარმოო პოტენციალის რაციონალური გამოყენებისათვის. სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებისათვის, სასურსათო პროგრამის რეალიზაციისათვის ბრძოლაში. ამასთან დაკავშირებით კრებამ მოითხოვა უფრო ეფექტიანად გამოიყენონ თითოეული პროფჯგუფის, სამეურნეო პროფკავშირული ორგანიზაციების შესაძლებლობანი, საქმის სამსახურში ჩაყენონ შრომითი კოლექტივების ძალა და ავტორიტეტი, სოციალისტური შეჯიბრება, დამრიგებლობა, უფრო ფართოდ ჩაბმან მშრომელები წარმოების მართვაში. თავიანთი სიტყვა თქვა თქვენ შემდგომქმედმა საწარმოო თათბირებმა, მუშათა კრებებმა, შემოქმედებითმა ორგანიზაციებმა — სამეცნიერო-ტექნიკურმა საზოგადოებამ, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა საკავშირო საზოგადოებამ, ეკონომიკური ანალიზის ბიუროებმა, ნოვატორთა საბჭოებმა.

რესპუბლიკის პროფკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა არსებითად გააუმჯობესონ ორგანიზატორული და აღმზრდელობითი მუშაობა, რომლის მიზანია შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცება, კადრების დენადობის ლიკვიდაცია, სამუშაო დროის დანაკარგების აღმოფხვრა. ფრიად მნიშვნელოვანია, ხაზგასმით აღინიშნა კრებაზე, ყველგან გავაძლიერეთ მოწინავე პროფკავშირული ჯგუფების ინიციატივა — „პროფჯგუფში — არც ერთი შრომის დისციპლინისა და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი“.

პროფკავშირული ორგანიზაციების განსაკუთრებული ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა მიაღწიონ ზუსტ კოორდინაციას საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებაში, გააქტიურონ მავნე ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებზე შეტევა.

განხილული საკითხის გამომიღებულია რეზოლუცია.

კრების მუშაობაში მონაწილეობდა საკავშირო პროფსაბჭოს განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ხაიკინი. (საქინფორმი).

ᲒᲐᲛᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲘ

ᲞᲠᲝᲤᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲬᲛᲘᲓᲐᲗᲐᲬᲛᲘᲓᲐ ᲡᲐᲣᲜᲯᲔᲐ

ᲓᲔᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲗᲐᲜᲐ-ᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ

შარშან სექტემბერში „კომუნისტში“ რუბრიკით „ბჭობის ფურცელი“ გამოქვეყნდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირების და პროგნოზირების ცენტრის მიერ მომზადებული დიალოგი, რომელშიც ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სახიამოვნოა, რომ მკითხველი ფართოდ გამოეხმაურა ამ პუბლიკაციას, რასაც მოწმობს ის უამრავი შეკითხვა, წინადადება, რჩევა-დარიგება, რომლებიც ცენტრმა მიიღო. რა თქმა უნდა, ეს მასალები თანდათანობით მუშავდება და სათანადოდ განზოგადდება.

ამრიგად, უკვე მომზადდა იმის ნიადაგი, რომ ამ დიალოგებს ფართო გახაჭანი მიეცეს. „კომუნისტში“ ისინი გამოქვეყნდება რუბრიკით „ბჭობის ფურცელი“.

დღევანდელ დიალოგს საფუძვლად დაედო დემოგრაფიის თაობაზე მოსაზრებანი და წინადადებანი, რომლებიც მკითხველებმა მოგვაწოდეს. ეს თემა იმითაც არის საკარნახევი, რომ უკანასკნელ ხანს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის პრობლემებს. საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში საოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების საფუძველზე ჩამოყალიბდა მოსახლეობის გამრავლების პროგრესული რეჟიმი. ახეთ პირობებში უზრუნველყოფილი იყო მოსახლეობის ბუნებრივი მატების საშუალო ტემპი. მაგრამ უკანასკნელ ხანს თავი იჩინა შობადობის დონის მეტისმეტად არახასურველმა დაქვეითებამ. 1980 წლისათვის ბუნებრივი მატების მაჩვენებელი 1960 წელთან შედარებით განახევრდა, ხოლო პროგნოზით 2000 წლისათვის ნავარაუდევია უფრო მკვეთრი კლება. შესაბამისი მონაცემები ამ ნეგატიურ მოვლენაზე ნათლად მიგვითითებენ: ყოველ ათას კაცზე განაგარიშებით ბუნებრივი მატება ასეთია: 1960 წელი — 18,2; 1980 წელი — 9,1 და 2000 წლისათვის — 3,5. განსაკუთრებით შეამცირა შობადობა ქართველმა ქალმა. თავი იჩინა აგრეთვე ახალმა დემოგრაფიულმა მოვლენამ: საქართველოს ბევრ სასოფლო რეგიონში, მოსახლეობის მოგრაფიის გაძლიერების ფონზე, მოსახლეობის ბუნებრივი მატება უფრო მკვეთრად შემცირდა, ვიდრე საშუალოდ რეპუბლიკაში. ამრიგად ხაგანებო ყურადღებას იპყრობს მწარმოებელი მოსახლეობის და უფრო მეტად მისი შემცვლელი ახალგაზრდობის წილის შემცირება, და, პირიქით, საპენსიო ასაკის მოსახლეობის შეფარდებითი და абსოლუტური მატება. მწარმოებელი მოსახლეობის უპირატესი ზრდის საჭიროება თვითმიზანი არ არის, იგი საშუალებაა ხალხის კეთილდღეობის დონისა და ქვეყნის ძლიერების შემდგომი ამაღლების მიზანწევად. ოჯახში მხოლოდ ერთი-ორი შვილი, გაუთხოვარ-დაუქორწინებელთა რაოდენობის ზრდა მეტისმეტად აქვეითებს ქართველი ხალხის, ჩვენი რესპუბლიკის დემოგრაფიულ აქტივს. საჭიროა შეიქმნას რაც შეიძლება მეტი ახალი ოჯახი და თითოეულმა ოჯახმა, როგორც წესი, უნდა იყოლიოს უპირატესად სამი-ოთხი შვილი; ოჯახი, სადაც ოთხზე მეტი შვილი ჰყავთ, განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, მაშასადამე, რაც შეიძლება მეტი ახალი ოჯახი და ოჯახში იმაზე მეტი შვილიანობა, ვიდრე დღეს არის! — ეს ეროვნული და ხაზოგადოებრივად აუცილებელი ისტორიული მოთხოვნილებაა. სოციალისტურ საზოგადოებას დიდი შესაძლებლობანი აქვს იმისათვის, რომ ხელი შეუწყოს დემოგრაფიული პროცესების სასურველი მიმართულებით წარმართვას, რეგულირებას. დემოგრაფიული სიტუაციის გაჯანსაღებას თვალისწინებს სკკპ XXVI ყრილობაზე და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა, მზრუნველობას არ აკლებენ საყრილობო გადაწყვეტილებათა რეალიზაციას. ამოქმედდა დემოგრაფიული პოლიტიკის მექანიზმი, მაგრამ არის მთელი რიგი სიძნელენი, ნაკლოვანებანი. ამასთან ჯერ კიდევ გრძელდება პრობლემის დასაძლევი თეორიული და პრაქტიკული გზების ძიება. ის, თუ რამდენად სიხლსავსე იქნება დემოგრაფიული პოლიტიკა რესპუბლიკაში, თავად ჩვენზეა დამოკიდებული. ჩვენი დღევანდელი დიალოგიც სწორედ ამ პრობლემებს ეძღვნება.

დიალოგში მონაწილეობენ: საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ᲖᲔᲚᲐ ᲚᲔᲥᲨᲐᲕᲐ, საქართველოს სსრ შრომის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ᲠᲣᲡᲣᲓᲐᲜ ᲯᲐᲨᲐᲠᲘᲫᲔ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲡᲝᲒᲝᲚᲔᲕᲘ, პარტიის მახარაძის რაიკომის პირველი მდივანი ᲝᲗᲐᲠ ᲗᲝᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ, საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ᲡᲔᲠᲒᲝ ᲠᲘᲒᲘᲖᲐᲕᲐ, საქართველოს სსრ განათლების მინისტრი ᲝᲗᲐᲠ ᲫᲘᲜᲫᲚᲐᲫᲔ, საქართველოს სსრ პროკურორი ᲐᲜᲖᲝᲠ ᲑᲐᲠᲐᲑᲐᲫᲔ.

დიალოგს უძღვებიან საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საზოგადოებრივი აზრის შესწავლის, ფორმირების და პროგნოზირების ცენტრის სწავლული მდივანი ᲖᲣᲠᲐᲑ ᲯᲘᲑᲚᲐᲫᲔ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სოციოლოგიის განყოფილების გამგე ᲐᲚᲐᲨᲘᲐ ᲯᲘᲪᲘᲐᲫᲔ.

—პატივცემულო გელა, ხაბჭოთა საქართველოში მოსახლეობის გამრავლების პროგრესული, რაციონალური რეჟიმის ფორმირებაში, ჯანმრთელობის დაცვის სამსახურმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა, მაგრამ უკანასკნელ წლებში თავი იჩინა უარყოფითმა დემოგრაფიულმა მოვლენამ — შობადობის დონის დაქვეითებამ, რაც მოსახლეობის ბუნებრივი მატების არსებითს შემცირებას იწვევს.

გთხოვთ, მოკლედ გაგვიზიარონ თქვენი მოსაზრებები ამ საკითხზე.

Ზ. ᲚᲔᲥᲨᲐᲕᲐ. ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ამოცანაა უზრუნველყოს ადამიანის სრულფასოვანი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობა, რადგან ეს მიგვანიჩნია მოსახლეობის ნორმალური გამრავლების აუცილებელ წანამძღვრად. აი, ასეთი გზით შემოდის მედიცინის სფეროში დემოგრაფიული პრობლემა. აქვე უნდა დავსძინოთ, რომ „წმინდა სამედიცინო“ მიზეზით გამოწვეული ბუნებრივი მატების დანაკლისი (დედის ან მამის მიზეზით გამოწვეული უშვილობა, ორსულობის პერიოდში ცხოვრების საჭირო რეჟიმის დარღვევა, ბავშვის არასწორი მოვლა) სხვა მიზეზებთან შედარებით მცირე პროცენტს შეადგენს.

—ხომ არ შეიძლება „წმინდა სამედიცინო“ მიზეზები კიდევ სხვა რამ ვიგულისხმოთ?

Ზ. ᲚᲔᲥᲨᲐᲕᲐ. აქ უწინარესად უნდა აღინიშნოს ჯანმრთელობის დაცვის ზოგიერთი მუშაკის დაბალი კვალიფიკაცია და უპასუხისმგებლობაც, რის გამოც მედიცინის მუშაკი ვერ ახერხებს დროული და დამაჯერებელი რჩევა-დარიგება მისცეს პაციენტს, ყოველმხრივ გამოიკვლიოს დედა ან ბავშვი, მოინახულოს პაციენტი, თუ არ არის დარწმუნებული მის სრულ გამოჯანმრთელებაში და სხვა.

—რესპუბლიკაში დღითი დღე ფართოვდება დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის სამსახური, მაგრამ, ალბათ, სიძნელეებიც შეინიშნება.

Ზ. ᲚᲔᲥᲨᲐᲕᲐ. რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო ყოველთვის, მაგრამ განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში საგანგებო ყურადღებას უთმობს ამ სფეროს მუშაობას. 1983 წელს ბავშვთა ჯანმრთელობის მაჩვენებელი საუკეთესოა უკანასკნელ 12 წელთან შედარებით. იმედი გვაქვს მომავალში კიდევ უფრო ხელშესახებ შედეგებსაც მივაღწევთ. თქვენს ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მეცადინეობა ამ მიმართულებით ამაო აღმოჩნდება, თუ ფართო საზოგადოება მხარში არ ამოგვიდგა. ამიტომ მიმაჩნია საჭიროდ ზოგიერთი უარყოფითი მაგალითის მოყვანა, რომელთა გამოშაკარავებამ ხელი უნდა შეუწყოს მათ აღმოფხვრას. საქართველოში ზოგიერთ რაიონში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ჩვეულება, როდესაც ოჯახი ააგებს კეთილმოწყობილ ორსართულიან სახლს, ზემო სართულს იყენებს სტუმრის მისაღებად, ხოლო ჩვილი და მცირეწლოვანი შვილები ცხოვრობს პირველ სართულზე, რომელიც ხშირად სანტარულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, ნესტიანია და ბავშვების ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს; ზოგიერთი ახალგაზრდა დედა ეწევა თამბაქოს, ან ორსულობის პერიოდში ეტანება ალკოჰოლიან სასმელს; ოჯახის უფროსი წევრები, მეუღლეც კი ამას არაფრად აგდებენ. ან კიდევ, არის შემთხვევა, როცა დედა რძეს ნაადრევად იშრობს, და შვილს ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის ამ შეუცვლელ ელექსირს ართმევს. არც ის არის იშვიათი, როცა ახალგაზრდა მშობელი ვერ იცლის ბავშვის სუფთა ჰაერზე გასასეირნებლად, ან საჭიროების დროს ექიმთან წასაყვანად და თვითმკურნალობას მიმართავს. ასეთი მოვლენები მძიმე უარყოფით გავლენას ახდენს ერის გამრავლებაზე.

მე აღარაფერს ვამბობ დროშოქმედ წეს-ჩვეულებებზე (აკვანი, მეორე თვემდე ბავშვის არგაყვანა ოთახიდან და სხვა), რომელთაც შესაძლოა ჩვენი ბებიების ახალგაზრდობის დროს ჰქონდა გარკვეული დადებითი, მნიშვნელობაც, მაგრამ დღეს აბსოლუტურად მიუღებელია.

—აბორტით გამოწვეული უშვილობაც, სამწუხაროდ, არ არის იშვიათი შემთხვევა.

Ზ. ᲚᲔᲥᲨᲐᲕᲐ. ზოგს მიაჩნია, რომ ჯერ არა აქვს საშუალება მატერიალურად უზრუნველყოფოს ერთ ოჯახს, ან ფიქრობს გართობაში ხელი შეეშლება და პირველ ორსულობას აბორტით ამთავრებს. ეს კი ქმნის საშიროებას შემდგომში აღარ ეყოლოს შვილი. იგივე შედეგი მოყვება ხშირ აბორტებს, გარდა იმისა, რომ ხშირი აბორტი იწვევს ქალის ნაადრევ დაბერებას და სიმსივნური დაავადების განვითარებას. ბევრი ქალი ზოგჯერ ყურმოკრული ჭორის საფუძველზე ერიდება ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებას, რაც დაუშვებელია.

—ალბათ, ამ მხრივ საზოგადოების სანიტარული განათლების საკითხებზე მუშაობის გაუმჯობესება იქნება საჭირო.

Ზ. ᲚᲔᲥᲨᲐᲕᲐ. როგორც ჩანს, საზოგადოების ერთ ნაწილს წარმოდგენა არა აქვს იმ მძიმე შედეგებზე, რომლებიც ზემოჩამოთვლილ მოვლენებს მოაქვს შთამომავლობისათვის. ეს უწინარესად ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ბრალია. აქ განსაკუთრებით სანიტარული განათლებისა და სამედიცინო ცოდნის პროპაგანდის სფეროს ჩამორჩენილობა იგულისხმება. ჩვენ ვაპირებთ არსებითად გარდავქმნათ მათი მუშაობა. კარგი იქნებოდა ამ საქმეში გამოჩენილ მოღვაწეთა —მწერალთა, ხელოვნებისა და მეცნიერების წარმომადგენელთა თანადგომა. ვფიქრობთ, შეეფიცებიან ცხოვრობს პირველ სართულზე, რომელიც ხშირად სანტარულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, ნესტიანია და ბავშვების ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს; ზოგიერთი ახალგაზრდა დედა ეწევა თამბაქოს, ან ორსულობის პერიოდში ეტანება ალკოჰოლიან სასმელს; ოჯახის უფროსი წევრები, მეუღლეც კი ამას არაფრად აგდებენ. ან კიდევ, არის შემთხვევა, როცა დედა რძეს ნაადრევად იშრობს, და შვილს ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის ამ შეუცვლელ ელექსირს ართმევს. არც ის არის იშვიათი, როცა ახალგაზრდა მშობელი ვერ იცლის ბავშვის სუფთა ჰაერზე გასასეირნებლად, ან საჭიროების დროს ექიმთან წასაყვანად და თვითმკურნალობას მიმართავს. ასეთი მოვლენები მძიმე უარყოფით გავლენას ახდენს ერის გამრავლებაზე.

მე აღარაფერს ვამბობ დროშოქმედ წეს-ჩვეულებებზე (აკვანი, მეორე თვემდე ბავშვის არგაყვანა ოთახიდან და სხვა), რომელთაც შესაძლოა ჩვენი ბებიების ჰქონდა გარკვეული დადებითი, მნიშვნელობაც, მაგრამ დღეს აბსოლუტურად მიუღებელია.

—აბორტით გამოწვეული უშვილობაც, სამწუხაროდ, არ არის იშვიათი შემთხვევა.

Ზ. ᲚᲔᲥᲨᲐᲕᲐ. ზოგს მიაჩნია, რომ ჯერ არა აქვს საშუალება მატერიალურად უზრუნველყოფოს ერთ ოჯახი, ან ფიქრობს გართობაში ხელი შეეშლება და პირველ ორსულობას აბორტით ამთავრებს. ეს კი ქმნის საშიროებას შემდგომში აღარ ეყოლოს შვილი. იგივე შედეგი მოყვება ხშირ აბორტებს, გარდა იმისა, რომ ხშირი აბორტი იწვევს ქალის ნაადრევ დაბერებას და სიმსივნური დაავადების განვითარებას. ბევრი ქალი ზოგჯერ ყურმოკრული ჭორის საფუძველზე ერიდება ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების გამოყენებას, რაც დაუშვებელია.

—ალბათ, ამ მხრივ საზოგადოების სანიტარული განათლების საკითხებზე მუშაობის გაუმჯობესება იქნება საჭირო.

Ზ. ᲚᲔᲥᲨᲐᲕᲐ. როგორც ჩანს, საზოგადოების ერთ ნაწილს წარმოდგენა არა აქვს იმ მძიმე შედეგებზე, რომლებიც ზემოჩამოთვლილ მოვლენებს მოაქვს შთამომავლობისათვის. ეს უწინარესად ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების ბრალია. აქ განსაკუთრებით სანიტარული განათლებისა და სამედიცინო ცოდნის პროპაგანდის სფეროს ჩამორჩენილობა იგულისხმება. ჩვენ ვაპირებთ არსებითად გარდავქმნათ მათი მუშაობა. კარგი იქნებოდა ამ საქმეში გამოჩენილ მოღვაწეთა —მწერალთა, ხელოვნებისა და მეცნიერების წარმომადგენელთა თანადგომა. ვფიქრობთ, შეეფიცებიან ცხოვრობს პირველ სართულზე, რომელიც ხშირად სანტარულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს, ნესტიანია და ბავშვების ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს; ზოგიერთი ახალგაზრდა დედა ეწევა თამბაქოს, ან ორსულობის პერიოდში ეტანება ალკოჰოლიან სასმელს; ოჯახის უფროსი წევრები, მეუღლეც კი ამას არაფრად აგდებენ. ან კიდევ, არის შემთხვევა, როცა დედა რძეს ნაადრევად იშრობს, და შვილს ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის ამ შეუცვლელ ელექსირს ართმევს. არც ის არის იშვიათი, როცა ახალგაზრდა მშობელი ვერ იცლის ბავშვის სუფთა ჰაერზე გასასეირნებლად, ან საჭიროების დროს ექიმთან წასაყვანად და თვითმკურნალობას მიმართავს. ასეთი მოვლენები მძიმე უარყოფით გავლენას ახდენს ერის გამრავლებაზე.

**ᲛᲝᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲓᲐᲜᲐᲗᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲨᲘ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲓᲔᲓᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲘᲡ

თექვსმეტი წლის შემდეგ

სპარტაკიადის გაკვეთილები

სპორტრაკი შეჯიბრება ნახევრად კავშირის ხალხთა VIII სპორტული სპარტაკიადის პროგრამით სპორტული ხიმწვანეთ გამოირჩოდა. უკვე წინასწარ ნახევრფინალურ თამაშებში ცხადი გახდა, რომ უძლიერეს გუნდებსაც კი არ ეჭნებოდათ იოლი გზა გამარჯვებისაკენ.

ამრიგად, სპარტაკიადის ისტორიაში პირველად, პირველ ექვსეულშიც ვერ მოხვდა, შეიძლება ითქვას, ყველაზე სახელოვანი რუსეთის ფედერაციის გუნდი, რომელშიც მხოლოდ დიდოსტატები იყვნენ. და მთავარ ფინალში, რომელშიც მედლები გათამაშდა, ბრძოლა ბოლომდე ძალზე მწვავე იყო. ფინალამდე ორი ტურით ადრე შეიქმნა იმგვიანი სიტუაცია, როცა ერთი ქულის ინტერვალით თავი მოიყარა ხუთმა გუნდმა, მოსკოვისა და საქართველოს გუნდებს 13-13 ქულა ჰქონდათ 24-დან, ლენინგრადისა და უკრაინის გუნდებს — 12,5-12,5, ლატვიას — 12 ქულა. გადამწყვეტ ორთაბრძოლებში დედაქალაქის გუნდი დაწინაურდა. უკანასკნელ ტურში მან დაამარცხა მთავარი მეტოქე — ქართველი მოჭადრაკეები — ანგარიშით 5,5:2,5 და ერთპიროვნული ლიდერი გახდა. და თუმცა ქართველმა მოჭადრაკეებმა ბოლო ტურში უკრაინის გუნდი დაამარცხეს, პირველი ადგილის ბედი მოსკოველთა სასარგებლოდ გადაწყდა. მოსკოველმა მოჭადრაკეებმა 40-დან 23 ქულა მოაგროვეს და ოქროს მედლები მოიპოვეს. **გამარჯვებული** გუნდი ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი, მსოფლიო ექსჩემპიონი ტ. პეტროსიანი, დიდოსტატები ი. ბალაშოვი, ს. დოლმატოვი, ს. მაკარიჩევი, ე ვასიუკოვი, ა. იუსუპოვი და ე. ფატალიბეკოვა, საერთაშორისო ოსტატი ლ. ზაიცევა. როგორც მოსკოვის ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, მინდა აღვნიშნო უწინარესად მსოფლიო ჩემპიონის ა. კარპოვის დიდი წვლილი გუნდის წარმატებაში. მან პირველ დაფაზე ფინალში 5-დან 3,5 ქულა დააგროვა. და კარპოვმა არა მარტო თავისი შედეგებით, არამედ პირადი დახმარებითაც შეუწყო ხელი იმას, რომ დედაქალაქელი მოჭადრაკეები უმაღლეს საპატიო საფეხურზე ავიდნენ.

შეგახსენებთ, რომ წინათ მოსკოველებს სპარტაკიადა მოუგიათ 1959 და 1967 წლებში. ამრიგად, მათ თექვსმეტი წლის ხანგამოვებით შეძლეს მესამედ მოეპოვებინათ ჩემპიონთა საპატიო ტიტული.

დიდ წარმატებას მიაღწიეს ქართველმა მოჭადრაკეებმაც, რომლებმაც პირველად მოიპოვეს ვერცხლის მედლები. თანაც, ამ წარმატებას მათ მიაღწიეს არა მარტო თავიანთი სახელმოხვეჭილი ქალების — მ. ჩიბურდანიძისა და ნ. გაფრინდაშვილის ხარჯზე. ამ ბოლო წლებში საქართველოში ნიჭიერი და ძლიერი ახალგაზრდა ოსტატების მთელი კოჰორტა აღიზარდა. ესენი გახლავან ზ. აზმაიფარაშვილი, გ. ზაიჩიკი, ზ. სტურუა და ე. უბილავა. სწორედ მათ არა მარტო წარმატებით გაუძლეს გამოცდას ნაცად მეტოქეებთან შეხვედრებში, არამედ საპატიო ტიტულების მქონე მოწინააღმდეგენიც კი დაამარცხეს.

უდავოდ, დიდ პროგრესს მიაღწიეს სომხეთის მოჭადრაკეებმა, რომლებიც პირველად გავიდნენ მთავარ ფინალში. რესპუბლიკის მოჭადრაკეთა გუნდი სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის ჩემპიონი აღმოჩენა გახდა. ძირითადად ახალგაზრდა მოჭადრაკეებით დაკომპლექტებულმა, მან ჯერ კიდევ ნახევარფინალში შეძლო რუსეთის სფსრ მოჭადრაკეთა დამარცხება.

წინ წაიწიეს ლენინგრადის, ლატვიის, უაზახეთისა და ყირგიზეთის მოჭადრაკეებმა. აი, ისეთმა ფავორიტებმა კი, როგორიც უკრაინისა და რუსეთის გუნდები იყვნენ, სერიოზული მარცხი განიცადეს. ძვირად დაუჯდათ უკრაინელ მოჭადრაკეებს უკანასკნელი საათი საქართველოს გუნდთან შეხვედრის თამაშებში. თითქოს გიგლამა გადაუარაო მათ დაფებს და ერთბაშად გადაიწურა არათუ უმაღლესი ადგილის დაკავების, არამედ თვით ბრინჯაოს მედლების მოპოვების იმედიც. შეგახსენებთ, რომ უკრაინელმა მოჭადრაკეებმა წინა, — 1979 წლის სპარტაკიადაში გაიმარჯვეს, ორი წლის წინათ კი ასეევე გამარჯვება მოიპოვეს სსრ კავშირის გუნდურ ჩემპიონატში.

განსაკუთრებით გულსატკენია რუსეთის სფსრ გუნდის წარუმატებლობა. რუსეთის მოჭადრაკეებს თავის დღეში არ დამართვიათ ასეთი რამ. მოკლე ნახევარფინალის დისტანცია მათთვის საბედისწერო აღმოჩნდა. ყველაზე დიდი ზარალი მოუვიდათ პირველ ოთხ დაფაზე. ისეთმა სახელმოხვეჭილმა დიდოსტატებმა, როგორნიც არიან ლ. პოლუგაევსკი, ლ. ფსახისი, ე. გელერი და ვ. ცეშკოვსკი, ნახევარფინალში 14-დან 5,5 ქულა მოაგროვეს. თანაც ფსახისს ნული ქულა ჰქონდა...

ყურადღებას იპყრობს სპარტაკიადის გამარჯვებულთა შედარებით დაბალი პროცენტი. ასეთი რამ ჯერ არ ყოფილა. ეს იმის დასტურია, რომ ჩვენს ქვეყანაში ჭადრაკი თვისებრივი მიმართულებით ვითარდება. სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ სპარტაკიადაზე მთელი ხმით აჟღერდა ახალი სახელები. ახალგაზრდა ქართველი ოსტატები უკვე მოვიხსენიე. კარგი სახელი მოიხვეჭეს სპორტის ოსტატებმა გ. სახატოვამ (უაზახეთი), ლ. იურტაევმა (ყირგიზეთი), ე. ბისტრიაკოვამ (ლენინგრადი) და პ. კორზუბოვმა (ბელორუსია). შემოქმედებითი თვალსაზრისით სპარტაკიადის შედეგები დიახაც სასიამოვნოა, იქ გათამაშებული ბევრი პარტია დიდად საინტერესოა თეორიულად.

ა. სუეტინი,
საერთაშორისო დიდოსტატი.
„პრავდა“, 1. VIII. 1983 წ.

„გარდიანის“ ირონიული შენიშვნა

ამას წინათ ინგლისში შეიქმნა ქალთა საჭადრაკო ასოციაცია, რომელმაც მიზნად დაისახა „ჭადრაკში მამაკაცთა ჰეგემონიის დაძლევა ჯერ დიდ ბრიტანეთში, შემდეგ კი მთელ მსოფლიოში“.

ამასთან დაკავშირებით გაზეთმა „გარდიანმა“ ირონიულად შენიშნა: „უფრო ლოგიკური იქნებოდა, ასეთი ასოციაცია ინგლისში კი არა, საქართველოში შექმნილიყო“.

მასპინძელია ლვოვი

ᲖᲝᲗᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲡᲐᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲓ ᲛᲘᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲐ

ᲐᲛ ᲪᲝᲢᲐ ხნის წინათ ყაზბეგის რაიონის მშრომელებს დიდი სიხარული მოჰგვარა თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის წარმომადგენლების სტუმრობამ, რითაც საფუძველი ჩაეყარა სცენის ოსტატებისა და ყაზბეგის რაიონის მშრომელთა მეგობრობას. ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც მაშინ გაფორმდა იმ სასიკეთო საქმის პასუხი, რესპუბლიკის ხელმძღვანელობა რომ ახორციელებს მთის რაიონების აღორძინებისა და განვითარებისათვის. ამ ხელშეკრულების თანახმად რუსთაველელები სისტემატურ მეთვალყურეობას და დახმარებას გაუწევენ ყაზბეგის რაიონის კულტურის სახლის თვითმოქმედ კოლექტივებს, რაიონის მშრომელებს უჩვენებენ თავიანთ საუკეთესო დადგმებს, მოეწყობა შეხვედრები რაიონის მოწინავე ადამიანებთან გაიმართება საუბრები აქტუალურ საკითხებზე... თეატრს კიდევ სხვა მრავალი საინტერესო ღონისძიება აქვს გათვალისწინებული.

4 აგვისტოს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი სპექტაკლით „კავკასიური ცარცის წრე“ გასტროლებს იწყებს ლვოვში მ. ზანკოვეცკაიას სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სცენაზე. ეს რუსთაველელების პირველი შეხვედრაა ლვოველ მაყურებლებთან.

ერთი თვის მანძილზე ქართველი მსახიობები გამოვლენ ქალაქის სამრეწველო საწარმოების, დაწესებულებების, სოფლის მეურნეობის მშრომელებს წინაშე. უკრაინელ კოლეგებთან გაიმართება დიალოგები და დისკუსიები.

თეატრის დასი მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე მეგობრობის დღეებში, რომელიც გაიმართება ლუცკის ოლქში. საქმე ის გახლავთ, რომ ამ ოლქის გოროზოვის რაიონისა და ხობის რაიონის მშრომელებს მეგობრული კონტაქტები აკავშირებთ ერთმანეთთან, სწორედ ამ ურთიერთობის დაგვირგვინება იქნება მეგობრობის დღეები, რომელშიც ქართველი მსახიობები თავიანთი საუკეთესო დადგმით — „რიჩარდ მესამეთი“ მიიღებენ მონაწილეობას. („კომუნისტის“ კორ.).

იაპონურ, პოლონურ, გულგარულ ენებზე...

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘᲐ მწერალმა ოტია იოსელიანმა იაპონიიდან მიიღო თავისი წიგნი „დაჩის ზღაპრები“, რომელიც გამოუშვა იაპონიის ერთ-ერთმა უდიდესმა გამომცემლობამ ტოკიოში. პირველად როდი გაეცნენ ნორჩი საზღვარგარეთელი მკითხველები ქართველი ბიჭუნას საინტერესო თავგადასავალს. მოსკოვში გამომცემლობა „პროგრესმა“ მსოფლიოს მრავალი ხალხის ენებზე გამოუშვა ეს პოპულარული ნაწარმოები. სიკეთისა და სამართლიანობის, კაცთმოყვარეობისა და სულგრძელობის იდეებმა ფართო აღიარება მოუტანა ოტია იოსელიანის წიგნებს, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. მისი რომანები და მოთხრობები თარგმნილია სსრ კავშირის თითქმის ყველა ხალხის ენაზე, გამოიცა პოლონეთში, ბულგარეთში, სხვა ქვეყნებში.

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ლოხვიცკის წიგნი „**ᲒᲖᲘᲗ ᲡᲐᲒᲡᲝ ᲡᲘᲡᲚᲚᲘ**“ მესამეა „მგზნებარე რევოლუციონერების“ სერიაში, რომელსაც პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობა უშვებს. თავისთავად საამო ფაქტია, მაგრამ ეს შემთხვევითობას უნდა მივაკუთვნოთ. მაგრამ ის, რომ რომანი გამოჩენილი რევოლუციონერის, ბაქოს კომუნის ლეგენდარული კომისრის ალიოშა ჯაფარიძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ეძღვნება, მიხეილ ლოხვიცკის დაწერა და აღნიშნული სერიით გამოიცა, სრულიად არ არის შემთხვევითი. ლადო კეცხოველის შესახებ დაწერილი რომანი „გასროლა მეტეხში“, რომელიც იმავე გამომცემლობამ დასტამბა, ხომ სწორედ იმავე მწერლის კალამს ეკუთვნის, და რეკომენდაცია არ სჭირდება — მისი საუკეთესო რეკომენდაციაა მკითხველთა საყოველთაო აღიარება და საკავშირო კრიტიკის უურადღება. ამრიგად, ავტორი ისტორიულ-რევოლუციურ ჟანრში ახალბედა არ არის და არც „მგზნებარე რევოლუციონერების“ სერიაა მისთვის უცხო.

მაგრამ გამოცდილებაც არის და გამოცდილებაც. მიხეილ ლოხვიცკის განშორება არ უუვარს და ახალი წიგნიც ამის ნათელი დასტურია. ალიოშა ჯაფარიძის შესახებ რომანი დაწერილია ცალკებადი რიტმით. ავტორის ტექსტს ცვლის რომანის ერთ-ერთი გმირის, ბაქოელი მუშის სტეფანეს მონოლოგები, შარალი და ზუსტი დოკუმენტის შემდეგ უეცრად იწყება ლირიკული გადახვევა. მაგრამ ავტორი ამგვარ სირთულეს ფორმალური ორიგინალობის გულისთვის კი არ მიმართავს, არამედ იმისთვის, რომ უფრო სრულად და ყოველმხრივ დაგვანახოს თავისი ჩანფიქრი, შექმნას საოცარ ნებისყოფიანი, ერთგული, ამასთანავე, შინაგანი ცხოვრებით აღსავსე გმირის მოცულობითი სახე. ლოხვიცკი ხან უშუალოდ უახლოვდება მას, ცდილობს დაინახოს ის, რისი გარჩევაც მხოლოდ ახლოდან, პირისპირ შეიძლება, შემდეგ კი შორიდან გვიჩვენებს და შესაძლებლობას აძლევს თავის გმირს უწოდებდნენ, როგორც უწოდებს სტეფანე და მრავალნი სხვანი. მასწავლებელი არა ფრაზით, არამედ საქმით, ცხოვრებით, მთელი თავისი არსით — ასეთია ალიოშა ჯაფარიძის მისია ქვეყნად და ისიც ბოლომდე ერთგულად ასრულებს ამ მისიას. მშრომელი, პროლეტარული მასა წიგნში ფონი კი არ არის გმირის საჩვენებლად, არამედ ისტორიული განვითარების ეშმარიტად მოძრავი ძალაა. ხალხს მასების ცნება რომაში უპირისპირდება ბრბოს ცნებას და მარტოკაცის (მაგრამ — არა გმირის!) ცნებას.

„მარტო კაცნი ცდილობენ მდინარეების საწინააღმდეგოდ იცურონ, საზოგადოების, ისტორიის გზა უზნეო იქნება, უზნეო აღმოჩნდება თვით რევოლუციაც. ხოლო მისი შედეგები საყოველთაო გახრწნას გამოიწვევს... ზნეობრივი მიზანი ზნეობრივ საშუალებებს, ზნეობრივ ქცევას მოითხოვს და კომპრომისი აქ შეუწყნარებელია. აქედან გამომდინარეობს ალიოშა ჯაფარიძის შინაგანი მთლიანობა, მისი ზნეობრივი მაქსიმალიზმი. ეს ანიჭებს მას ძალას იცხოვროს და იბრძოლოს ზნეობრივი იდეალის ხორცშესხმისათვის და თავიც გასწიროს მისთვის...

სამი კითხვით არის გამსჭვალული რომანის მთელი შინაარსობრივი ქსოვილი: ერთ-ერთ მათგანს ბედის წინაშე სვამს პატარა ალიოშა ჯაფარიძე: „რისთვის დავიბადე?“. და ეს საკითხი უეცრად „მითხარით, ძმებო, მითხარით, ხვალ რაღა იქნება?“.

აი, ამრიგად, სამივე საკითხი თავს იყრის ერთში — ადამიანის დანიშნულება სამყაროში.

მიხეილ ლოხვიცკი არც ფილოსოფოსობს და არც ენამჭევრობს. იგი ქმნის ეპოქის მრავალფეროვან, მრავალსახოვან, მრავალხმიან სურათს გარდატეხის ჟამს, გზაჯვარედინზე, უღელტეხილზე. იგი არ ამარტივებს და არ აიდეალებს თავის გმირებს, არ მოარგებს მათ უკვე ცნობილ ისტორიულ ფაქტებსა და ბიოგრაფიებს. ესენი არიან არა მოცემულობანი, არამედ უვიცობიდან ცოდნისაკენ, ძიებიდან მიგნებისაკენ, ეშეებიდან რწმენისაკენ განვითარების პროცესში მყოფი ადამიანები. ისინი დროებასთან ერთად იზრდებიან და იცვლებიან, ისინი თავისი ეპოქის შვილები და ახალი ხანის შემქმნელნი არიან, ახლის შექმნას კი ყოველთვის თან სდევს მსხვერპლი, დანაკარგები და შეცდომები. და ამიტომ მათი ზნეობრივი სიმაღლე ამავე დროს რევოლუციათ შობილი და მისივე საძირკველია, მისი გამარჯვების საწინდარია.

მიხეილ ლოხვიცკიმ გონივრულად და ჭკუის სასწავლებელი წიგნი დაწერა, დაწერა ალმოჩენის მგზნებარებით, თუმცა, თითქოს, უკვე დიდი ხანია ყოველივე ცნობილია ალიოშა ჯაფარიძეზე და სხვა ბაქოელ კომისრებზე. რომანი „გზით სავსე სისხლი“ — ეს არის იდეების ბიოგრაფია, რომელიც გარდატეხილია ამ იდეის ერთ-ერთი რაინდის სულიერი ჩამოყალიბების ბიოგრაფიაში. ბაგრისაგან ადამიანის განთავისუფლების იდეის მაღალი ზნეობრიობა და ცხოველმყოფელობა გარანტირებულია ამ იდეების მატარებლთა მაღალი ზნეობრიობით და სიმტკიცით. მწერლის წარმატება არცთუ შორეული ისტორიის მხატვრული და ფილოსოფიური გააზრების და ხორცშესხმის გზაზე გვიჩვენებს, რაოდენ ნაყოფიერია ასეთი მიდგომა; ალიოშა ჯაფარიძე — მასწავლებელი კვლავ გვასწავლის, განაგრძობს ჩვენს აღზრდას.

ᲣᲨᲐᲜᲒ ᲠᲘᲥᲘᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

მასწავლებელი კვლავ გვასწავლის

წიგნის თარო

აქ უნდა ვეძიოთ მათი პოზიციების პრინციპული განსხვავება. დიახ, ისტორია ქმნის გმირებს, და არა გმირი — ისტორიას.

ეს მოტივი მთელი წიგნის თავისებური კამერტონია, რომელიც განსაზღვრავს მის სოციალურ-მხატვრულ პათოსს. და შესაბამისად, პროფესიონალ რევოლუციონერთა ალიოშა ჯაფარიძესთან და მუშა სტეფანესთან ერთად, მისი გმირი სრულიად სამართლიანად ხდება დროება — რევოლუციური იდეების მომზეფვებისა და რეალიზაციის დროება, დროება მთელი თავისი მრავალფეროვნებით და წინსვლით დრომოჭმული, წარსულიდან მომავლისაკენ, რომელიც შობიარობის ტკივილებით იბადება. გმირს მასებში შეაქვს ეშმარიტი განთავისუფლების იდეა და მასებიც დიდი სირთულეებს დაძლევის შემდეგ სისხლით ეუფლებიან ბოლშევიკურ იდეებს. შემთხვევითი ხომ არ იყო, რომ პროკოფი ჯაფარიძეს პარტიული ნვითარების კანონზომიერებას არ ემორჩილებიან, ისინი დეკლასირებულნი და ამიტომ განწირულნი არიან“, — ამბობს ალიოშა ჯაფარიძე და ამ სიტყვებში ისტორიის მწარე სიმართლეა, ხალხს მოწყვეტილ მარტოკაცს, რაგინდ კეთილშობილურიც უნდა იყოს მისი ზრახვები, არ ძალუძს შეცვალოს სამყარო, სიკეთე ჰქმნას კაცთათვის. ხალხისნობის გაკვეთილებს ამაოდ არ ჩაუვლია: არა ხალხში სიარული, არამედ მასების დარაზმვა კლასობრივი ბრძოლისათვის, არა ინდივიდუალური ტერორი ბორობების კონკრეტულ მატარებელთა წინააღმდეგ, არამედ ბრძოლა სოციალური უსამართლობის მთელი სისტემის წინააღმდეგ, არა მოწამებრივი, თუნდაც გმირული სიკვდილი, არამედ ცხოვრება რევოლუციური იდეების ხორცშესხმისათვის.

და აქ მძლავრად და ნათლად წარმოგვიდგება ახალი თემა, რომელიც, შეიძლება ითქვას, უმთავრესია რომანში, — რევოლუციის ზნეობრიობის თემა. ადამიანები ადიოდნენენ, ადიან და კვლავაც ავლენ კოცონზე, მაგრამ თუ მათი ამოტივტივდება ბაქოს კომუნის მომაკვდავი კომისრის გონებაში, ამოტივტივდება სიკვდილის წინ რომანის ბოლოს, რომელიც, არსებითად, პასუხია ამ არცთუ რიტორიკულ კითხვაზე.

მეორე კითხვა: „როგორ ვიცხოვროთ შემდგომში, როგორ შევცვალოთ ცხოვრების საფუძვლები?“ — ამბობს ბაქოელი მუშა სტეფანე. და ამ კითხვაზე სტეფანესაც და მკითხველსაც უპასუხებს მასწავლებელი — ალიოშა ჯაფარიძე, უპასუხებს არა სიტყვით, არამედ საქმით, თავისი ყოველდღიური შრომით, თავისი ცხოვრებითა და სიკვდილით. და ჩვენ ვხედავთ (სწორედ ეს არის ავტორის დამსახურება), რომ სწორედ ასე უნდა ვიცხოვროთ და არა სხვაგვარად, რომ მხოლოდ ასე შეიძლება ქვეყნად ბოროტების დამარცხება. მასწავლებელმა, რომელმაც თავისი მაგალითით აღზარდა ისეთი მოწყალე, როგორიც სტეფანეა, წამებით რომ ეძებს თავის ადგილს სამყაროში და ბრძოლაში, და არა მარტო ეძებს, არამედ პოულობს კიდეც, უკვე იცის პასუხი მესამე კითხვაზე: „ითხარით, ძმებო, ბედნიერ ადამიანებ, ბედნიერ ადამიანებ, ბედნიერ ადამიანებ